ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7145062

ნომერი: AR11048591

თარიღი : 22.07.2024

გაცემის თარიღი : 23.07.2024

გაცნობის თარიღი : 26.07.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N 83ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე დათებაშვილი პ/ნ 01020007487
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 24ბ, ბინა 49

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 22 ივლისს №AR11048591 განცხადებით მომართა თორნიკე დათებაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 7

ივნისის №7071373 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებით, №01.19.21.003.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო ცენტრი; სასაწყობე შენობები) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად 289.04 კვ.მ-ის ნაცვლად 193.5 კვ.მ-ის, კომერციული ფართობად 8584.87 კვ.მ-ის 8574.53 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1090.39 კვ.მ-ის ნაცვლად 1086.85 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 450.25 კვ.მ-ის ნაცვლად 554.2 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 13087.69 კვ.მ-ის ნაცვლად 13082.22 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ა“ შენობის (სავაჭრო ცენტრი) გასწორებული არქიტექტურული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, „ა“ შენობის (სავაჭრო ცენტრი) შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) არ იცვლება, უბრალოდ ხდება აღნიშნული შენობის წარმოდგენილ გასწორებულ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 193.5 კვ.მ., კომერციული ფართობად - 8574.53 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1086.85 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 554.2 კვ.მ., საერთო ფართობად - 13082.22 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებით შეთანხმებული „ა“ შენობის (სავაჭრო ცენტრი) არქიტექტურული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე შენობის გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 ივნისის №7071373 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.